



px 4922/1. 023/1690

ჰარჰმა



საქართველო
საქართველოს
საქართველო



სოფ. ზარზმაში დარჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები: გუმბათოვანი ტაძარი და დიდი სამრეკლო.

პირველი ეკლესია აქ ჯერ კიდევ VIII თუ IX ს-ში ააშენა ბერმა სერაპიონმა, რომელმაც აქ მონასტერი დააარსა. მისმა მემკვიდრეებმა აქ სხვა, უფრო დიდი, ეკლესია ააგეს. ცნობები ზარზმის უძველესი მშენებლობის შესახებ მოიპოვება ძველი ქართველი მწერლის ბახილი ზარზმელის თხზულებაში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

ზარზმის პირველ ეკლესიებს დღემდის არ მოუღწევიათ. აწინდელი ტაძარი და სამრეკლო აშენებულია XIV ს. დასაწყისში, სამცხის მთავრის ბექა ჯაყელის დროს. ტაძარი თავისი ფორმებითა და მორთულობით მომწიფებულ შუასაუკუნეთა ბოლო ხანების დამახასიათებელი ძეგლია. ფასადების მოსართავად აქ აღარაა გამოყენებული დეკორატიული თალები, რომლებიც X — XII საუკუნეებში (და ნაწილობრივ, XIII ს-შიც) ფასადთა მორთულობის საფუძველს წარმოადგენდა. აღარ არის აღმოსავლეთის ფასადთა ნიშებიც, რომელიც VII — XIII სს. თითქმის ყველა გუმბათიანი ტაძრის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს. მაგრამ წინანდებურად დიდი ადგილი ეთმობა ჩუქურთმას.

დამახასიათებელია უზარმაზარი რელიეფური ჯვარი აღმ. ფასადზე და, აგრეთვე, ცრუსაკმლბი გუმბათის ყელზე (ნამდვილ სამკმლბთან მონაცვლეობით). ფასადთა დეკორატიულობის გახასიანებლად საგანგებოდაა შერჩეული


სხვადასხვა ფერის ქვა. ჩუქურთმის უკეთ გამოყენებულად ზარზმის ფონი წითლადაა შეღებილი.


ზარზმის ტაძარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქვს ქვების სამხრეთის კარიბჭე, რომელსაც სამი ღია თაღი აქვს. ტიხარის, რომელიც კარიბჭის მარჯვენა ნაწილს გამოჰყოფს — XVI საუკუნეში ჩაშენებული ზარზმის იმდროინდელ მფლობელთა — ხურციძეთა მიერ (იხ. ტიხრის წარწერა).

ტაძრის მხატვრობა განახლებულია XX ს. დასაწყისში, ზარზმის შენობათა აღდგენის დროს. ფრესკები უცვლილად დაატოვებული საერთო განლაგებისა და კომპოზიციების მხრივ, მაგრამ ძველი ქართული ფრესკების ფაქიზი ფერადოვნება სრულიად დაკარგულია. ზოგიერთი ფიგურა მთლიანად ახლადაა დახატული. მიუხედავად ამისა, ზარზმის ფრესკებს მაინც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

სასულიერო შინაარსის სურათებს გარდა, აქ ისტორიული პირების პორტრეტებიცაა დარჩენილი: სამხრეთის კედელზე გამოხატული არიან სამცხის მფლობელნი (მარცხნიდან მარჯვნივ): სამცხის პირველი დამოუკიდებელი მმართველი — ათაბაგი სარგის ჯაყელი (გარდაიცვალა XIII ს. ბოლოს), მისი ძე, სახელგანთქმული ბექა მანდატურთუხუცესი და ბექას ვაჟები სარგის II და უუარყუარე.

მათ პირდაპირ, ჩრდილოეთის კედელზე, XVI ს-ში შესრულებული მთელი სურათია: იმერეთის მეფე ბაგრატ III (მეფობდა XVI ს-ში), რომელიც მცირე ხანს განაგებდა სამ-





ცხეს, ხურციძეთა გვარის წარმომადგენელს სერაპიონ ხურციძეს საბუთსა და სამღვდელმთავრო სამოსელის ატრიუტს — ენჭერს უბოძებს. შეფის უკან გამოხატული მამაკაცი, წარწერის თანახმად, ზარზმის ძველი მფლობელი ერისთავთ ერისთავი გიორგი ჩორჩანელია (ცხოვრობდა მონასტრის დამარსებლის სერაპიონ ზარზმელის დროს). ზარზმაში გამოხატული სხვა ისტორიული პირების ვინაობა უცნობია.

სამრეკლოს პირველი სართული თავდაპირველად აღმოსავლეთითა და დასავლეთით ღია იყო და გალავანში შესასვლელს წარმოადგენდა. 1577 წ. ხურციძეებმა ღია თაღები ამოაშენეს და სამრეკლოს I სართული იოანე მახარობლის ეკლესიად აქციეს (იხ. წარწერა აღმოსავლეთის ფასადზე, რელიეფური ჯვრის ორსავე მხარეს). ჩაშენებული კედლების ჩუქურთმები ძალიან უხეშადაა შესრულებული.

სამრეკლოს გვერდით მდებარე სამლოცველოს შესასვლელის თავზე დარჩენილია X ს. წარწერაიანი ქვა, რომელიც აქ გადამოუტანიათ რომელიღაც, მანამდის არსებული, შენობიდან. წარწერაში ვინმე ივანე ხულას ძე მოგვითხრობს — სამლოც-

ველო მაშინ ავაშენე, როცა „საბერძენთს გადაგა სკლიაროს“, და ქართველთა მეფემ დავით კურაპალატმა ჩვენ უველანი ლაშქრად წარგვავლინა საბერძენეთის მეფეთა საშველადო. ეს ის ამბავია, რომელიც საფუძვლად დაედო ა. წერეთლის პოემას „თორნიკე ერისთავს“. ეს წარწერა უკელაზე აღრინდელია ზარზმის სიძველეთა შორის.

ტაძრის აღმოსავლეთით, ასიოდე ნაბიჯზე, დარჩენილია ძველი წყარო.

XVI — XVII ს-თა მიჯნაზე, როცა სამხრეთ საქართველოს თურქები შემოესივნენ, ზარზმის ძველი მონასტერი დაცარიელდა. მისი განძი გურიის სოფელ შემოქმედში გადაიტანეს საგანგებოდ აგებულ ეკლესიაში, რომელსაც აგრეთვე ზარზმა უწოდეს. დღეს კი ეს განძი (შესანიშნავი ქედური ხატები და სხვა ნივთები) თბილისში, ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.


ზარზმის შენობები აღდგენილ-შეკეთებულ იქნა XX ს-ის დასაწყისში.

ვახტანგ ბერიძე

რედაქტორი ბ. ლორთქიფანიძე. მხატვარი დ. გაბაშვილი

სახელმწიფო კამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1960

შეკვ. № 1286. უე 03802. ტირ. 3000. ფასი 1 მან.
ბ. ს. კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ЗАРЗМА


В сел. Зарзма сохранились значительные памятники древнегрузинской архитектуры: купольный храм и большая колокольня.

До наших дней не сохранились ни первая Зарзмская церковь VIII—IX вв., построенная монахом Серапионом, основавшим тут монастырь, ни более обширная церковь, построенная его преемниками (об этом строительстве рассказано в замечательном произведении древнегрузинского писателя Василия Зарзмели «Житие Серапиона Зарзмского»).

Нынешний храм и колокольня построены в начале XIV в. при владетеле Самцхе Бека Джакели. Храм как по своим формам, так и по орнаментации, является характерным памятником позднего этапа зрелого средневековья. На фасадах тут нет декоративных арок, которые являлись основой членения фасадов в X—XII вв. (и, отчасти, в XIII в.); на восточном фасаде нет ниш — неотъемлемой принадлежности подавляющего большинства грузинских купольных храмов с VII по XIII вв. Но по-прежнему, существенную роль играет резьба по камню. Характерны громадный резной крест над центральным окном восточного фасада, а также чередование настоящих окон с ложными на барабане купола. С целью усиления декоративного эффекта в облицовке фасадов и барабана купола применены разноцветные камни, а на фризах и на карнизах фоны кое-где подкрашены красным цветом.

Особенную привлекательность придает зарзмскому храму южный притвор с тремя широкими арочными проемами, Перегородка, отделяющая правую часть притвора — XVI в., она встроена Хурцидзе, феодалами, владевшими в то время Зарзмой (см. надпись на перегородке).

Роспись храма возобновлена в начале XX в. во время восстановления зарзмских построек. Общее расположение фресок и их композиция сохранились в первоначальном виде, но чудесный колорит древнегрузинских фресок совершенно утерян. Некоторые фигуры целиком написаны заново. Несмотря на это,



фрески Зарзмы сохраняют свое значение. Помимо сцен религиозного содержания, тут сохранились портреты исторических лиц: на южной стене изображены представители рода Джакели, владетелей Самцхе — исторической провинции на территории которой расположена Зарзма (слева направо): первый независимый правитель Самцхе — Саргис, умерший в конце XIII в.; его сын — знаменитый Бека и сыновья последнего — Саргис II и Куаркуаре.

Напротив, на северной стене, целая композиция, исполненная в XVI в.: имеретинский царь Баграт III (XVI в.), владевший в течение недолгого времени Самцхе, жалует сителъ и палицу «отцу Серапиону» Хурцидзе — владетелю Зарзмы. Рядом с царем мужчина, согласно надписи — эристав Георгий Чоранели, владевший Зарзмой еще во времена основателя зарзмского монастыря Серапиона. Росписи Зарзмы содержат еще несколько портретов неизвестных исторических лиц.

Колокольня первоначально представляла собой проход в ограду церкви: ее первый этаж был раскрыт с востока и запада. В 1577 г. Хурцидзе застроил открытые арки прохода, превратив его в церковь Иоанна Евангелиста (см. надпись на восточной стене по сторонам резного креста). Резьба восточных стен выполнена грубо.

Над входом небольшой часовни, примыкающей с севера к колокольне — большая плита с надписью X в., перенесенная сюда из другого, более раннего строения. В надписи некий Иванъ, сын Сулы, сообщает, что он построил часовню в то время, когда в Византии восстал Склир и грузинский царь Давид Куропалат направил войско в помощь византийским царям. Это событие, известное нам и по другим источникам, послужило сюжетом поэмы Акакия Церетели «Торникъ Эристави». Надпись Иванъ наиболее ранний памятник из сохранившихся в Зарзме древностей.

Несколько ниже церкви, к востоку, на расстоянии сотни шагов — сохранился древний родник.

На грани XVI — XVII вв., когда Южной Грузией завладели турки, Зарзма опустела. Все ее ценности были отправлены в Западную Грузию, в сел. Шемокеди, и помещены в специально выстроенной церкви, также получившей название Зарзмы. В настоящее время предметы из Зарзмы — замечательные образцы древнегрузинской чеканки — хранятся в Государственном музее искусств в Тбилиси.

Зарзмские постройки были капитально отремонтированы в начале XX в.

Вахтанг Беридзе

Редактор Б. Лордкипанидзе. Художник Д. Габашвили.
Государственное издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси 1960

Зак. № 1286. УЭ 03802. Тир. 3000. Цена 1 руб.
Комбинат печати. Тбилиси, Марджанишвили 5.

Д. с 1/1-1961 г. 10 к.